№ 194 26 ᲓᲔᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1866—1878 26 ᲓᲔᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ № 194

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲘ, ᲡᲔᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲘᲕ. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: ᲡᲔᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲘᲕ. ᲐᲛᲘᲠ. ᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ. ᲑᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲘᲪᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲡᲐ—8 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡᲐ—4 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 50 ᲙᲐ�პ., ᲝᲗᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ—3 ᲛᲐᲜ.

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲡ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲛᲐᲒᲘᲚᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲐᲮᲝᲖᲔ—1 ᲙᲐ�პ., ᲐᲮᲝ-ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ ᲐᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ—8 ᲙᲐ�პ., ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲪᲐᲪᲔᲠᲝᲗᲘ—5 ᲙᲐ�პ., ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲘ—4 ᲙᲐ�პ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ. ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲐᲕᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲮᲕᲐᲚ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲡ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲬᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲦᲘᲠᲡ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ—ᲝᲠ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲡᲔᲠᲒᲘᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲘᲕ. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 8.

ᲭᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲗᲘ: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲐᲛᲝ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ—ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ—ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲤᲘᲖ-ᲥᲔᲔᲨ ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲓᲜᲔᲜ ᲘᲛ ᲣᲞᲘᲠᲔᲚᲔᲡᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲝ.

ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐᲗ ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐᲗ ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲣᲪᲮᲝ, ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲡ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ.

ᲘᲧᲝ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲚᲝᲓᲔᲗᲝ.

ᲛᲐ ᲓᲠᲝ, ᲓᲦᲔᲗᲘᲗ, ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲤ. ᲡᲢᲠᲔᲚᲔᲪᲙᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚ-ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡᲝ.

ᲓᲐ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲐᲠᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲡᲐᲪᲐ ᲙᲘ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲙᲔᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲔᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚ-ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲘᲚᲜᲘ, ᲘᲛ ᲛᲐᲖᲠᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲣᲤᲘᲚᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡᲗ. ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ.

ᲐᲛ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ ᲡᲘᲐ ᲘᲛ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ, ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ. ᲐᲛ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲣᲤ. ᲑᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲜᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲫᲜᲑᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲕᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲡᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ-ᲡᲐᲐᲛᲝᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ ᲘᲛᲐᲖᲔᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲗᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲛᲔᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ, ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ (ᲐᲠᲐᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲘᲡᲐ,) ᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ (ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲘᲡᲐ), ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲚᲔᲗᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲗᲕᲐᲚᲗ-ᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲓᲐ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲠᲐᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲜᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲡᲔ „ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲐᲓ" ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲚᲘᲐᲗ; ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲜᲘᲗᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲣᲚᲐᲒᲔᲑᲘᲐᲗ.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲘᲓᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲔᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ, ᲒᲖᲐᲖᲔ ᲐᲑᲮᲝᲢᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲪᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡᲝ.

* * * ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲡᲐᲕᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲡ „ᲢᲘᲒᲠᲘᲡ" ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ:

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ ᲔᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲐᲚᲐᲓᲐᲗᲝᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲮᲛᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲠᲐᲛ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲣᲚᲐᲒᲔᲑᲘᲐᲗ ᲐᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲪᲐᲠᲪᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲗᲝᲗᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲝᲚᲚᲘᲗ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲘᲥ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲡᲝ.

ᲘᲡ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲪ ᲤᲐᲘᲢᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ.

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ

თაობაზე გამოძიება არის დანიშნული. არ გაგიკვირდებათ აგრეთვე ისიც რომ გითხრათ, რომ ჩვენს პოლიციას ამ ავაზაკების კვალისთვისაც კი ვერ მიუგნია ჯერ, არა თუ დაუჭერია.

*** ბამოჩენილი პეტერბურელი ადვოკატი უფ. სპასოვიჩი, რომლის ჩამოსელა ჩვენს ქალაქში ამას წინათ ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს, ამ ჟამად ათვალიერებს და სწავლობს თურმე ანდრეევსკის ქალის თაობაზე შემდგარ საქმეს. ამბობენ, რომ გაიცნობს თუ არა ამ საქმეს, ის წავა პეტერბურღში და ეცდებაო, რომ, აქაური ექსპერტების (დოქტორების) ჩვენების დასარღვევად, მოიყვანოს პეტერბურღიდამ ერთი ანორი გამოჩენილი დოქტორი-პროფესორიო.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 20 სექტემბერს. მგონი ძლივს გვეღირსა, ღვთით, ჩვენი დიდი ხნის ნატვრა!. ეს ნატვრა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მშვენიერს თელავის მაზრას. შესაფერი უფროსი: „უმფროსი ჰყოლებოდა ...ალგა ხანია ეს აქეთ, რაც ჩვენში ხმა იყო გავარდნილი, რომ უეზდის უმფროსად აქ თ. მ. ჭ—ძეს ნიშნამენო; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს ხმა მხოლოთ ხმად დარჩა. ჩვენდა სამწუხაროთო ეამბობ იმიტომ, რომ თ. მ. ჭ—ძე, ჩემის ჰაზრით, კარგი უეზდის უმფროსი უნდა ჰყოფილიყო. სხვა რომ არა იყოს რა იმდენად პატიოსან კაცად ვიცნობთ, რომ ის ცუდს ჩინოვნიკებს არ ამოირჩევდა, არამედ ნამდვილ და კეთილ სინიდისიან მოსამსახურე პირებად.

ეველაფერი, ჩემის ჰაზრით, კარგათ იქნებოდა; მაგრამ ეს იმედი ჩაგვეშალა. ეს ხომ ჩაიშალა, მაგრამ დღეს ჩვენის ბულვარის სხვა ჭორებს შუა ერთი ამბავი გავიგონე, რომლის გამართლება როგორც მე, იმედი მაქვს, ისე მრთელს ჩემს მოძმეებსაც უნდათ. ეს ამბავი ის გახლავთ, რომ მითომ ჩვენ უეზდის უმფროსად თ. ნიკო ჩოლაყაშვილს გვინიშნენო ეს ამბავი დიდის აღტაცებით მივიღეთ მეც და ბევრმა სხვებმაც, და ერთხმათაც დავიძახეთ: ღმერთმან ინებოს და ხმა გამართლდესო!

დიახ, ღმერთმან ინებოს ეს ამბავი. თ. ჩ—ლს დიდს და ბევრს საქმეს უქადიმე აქ. სრულიად ეტი იქნება ჩემის მხრით, რომ მე დაუხატო იმას თავისი მომავალი მოვალეობა, რადგანც დარწმუნებული ვარ იმისთვის ეს სრულიად საჭირო არ არის. ამას გვიმტკიცებს ჩვენ იმის ენერგიული და მხნე ბუნება, იმისი პატიოსნური და კეთილ-გონიერული მოქმედება—თუ როგორ უნდა წასწიოს წინ ის ხალხი, რომელიც მიანდო მას მმართებლობამ; ყველა ამაებს გვიმტკიცებს ჩვენ იმისი რამოდენიმე წლის თიალეთის მაზრის უფროსად ყოფნა. რაღა თქმა უნდა, რომ ეს პირი აქაც იმისთანავე ენერგიით და გულ-მხურვალედ მოჰკიდებს ხელს ყოველ კეთილს საქმის აღსრულებას.

ბევრს სხვასაც მოველით ჩვენ თ. ჩ—გან და განსაკუთრებით ამას: ის ნამდვილ ეცდება წინ წასწიოს ჩვენი საცოდავი სასოფლო შკოლები, გააუმჯობესოს ჩვენიეე სასოფლო „გამსესხებელ-შემნახველ იამხანაგობა, ეცადოს, როგორც კი შეიძლებოდეს, გაამართოს „მოამხმარებელი საზოგადოება“ და—სხვა ამ გვარები.

ერთის, სიტყვით ის ხმები, რომელნიც ისმის თ. ჩ—ზე და თვით ჩემი პირადი ცნობაც სრულს იმედს მაძლევს, რომ ყველა ამაებს ის კარგათ წაიყვანს.

მაშ ეხლა დაგერჩა, რომ სრულის გულით ვისურვოთ თ. ნ. ჩ—ლის ჩვენის უეზდის მაზრის უფროსად დანიშვნა.

ნადიკვარელი.

ფელეტონი

ქახეთის დღესასწაულები

(დასასრული)

აქედამ მივაშურე მეორე ყრილობას, სადაც ქუდ-მოხდილი ხალხი შესცქეროდა რაღაცა შიშით და მოწიწებით თეთრ ტანისამოსიან ქალსა, რომელიც ვითომც ძალა-უნებურათ უელიდა ლეკურს თეთრ-ბიორგის ბრძანებით. მე ეცდილობდი დამერწმუნებინა ერთი პირი, რომ ეს თამაშობა იყო ნებითი და არა იძულებითი; მაგრამ იმან გამაფრთხილა მე, რომ შემდგომში აღარ გამეგზავნა ამისი თქმა, თორემ თეთრ-ბიორგის შეეძლო მეც ვეთამაშებინე ძალით. ამ დროს გამოჩნდა მფარველად ერთი მოხუცი გლეხი და უთხრა ჩემს მოწინააღმდეგეს:

— შვილო! ჩვენ ვიჩიელოთ, თორემ მაგას ხმასაც არ გასცემს.

ეკლესიიდგან ოც-და-ათს ნაბიჯზედ არის აღშენებული სახლები, რომელიც ეკუთნის ეკლესიას. აქ დგანან ეხლა კეთილშობილი ხალხი, მოსული საქეიფოთ და არა სალოცავათ. ესენი არიან გართულნი საჭმელ-სასმელის მზადებაში, ქალები ფერ-უმარილის წასმაში და თამაშობაში. სათამაშოთ არის განმზადებული გრძელი და ფართო ფანჩატური აღყეავებული და განათლებული ფერადის ფანრებით. „დერეფოროობას“ ჰხმაროობს აქ ერთი პოლიციის ჩინოვნიკი; ამასთან მიჩემებული ჩაფრებიც გვერთ ახლავან და სტკბებიან ყმაწვილ ქალების თამაშობის ცქერით. როგორც მე არ ვიცი—რა მოხდა იმ დღეს პეტერბურღში, ისე ამათ არ გაუგიათ—რომელ კუთხეში რა ჩხუბი და რა ქურდობა მოხდა. ხან-და-ხან კი, როდესაც ვინმე თავ-გატეხილი ან ავაზაკებისაგან დაბრიყვებული დიდის ხნის ძებნის შემდგომ იპოვიდა პრისტავს და შესჩიოლებდა თავის დარდსა, ეს აკმაყოფილებს იმით, რომ იმისი საჩივარი ეკუთვნის მომრიგებელ მოსამართლესო!

მახლობლად უფ. პრისტავის რეზიდენციის კარავში არის გამართული ბანქოს თამაში, სადაც ზოგს მწუხარების ოფლი გადასდის შუბლზედ და ზოგი მხიარულათ ღიღინებს. ცხადათ ეხედავ—ვისი ბედი რა მდგომარეობაშია; მაგრამ ჩემი არა იხარჯება-რა და ჩუმათ ვარ. . .

ერთმა ფულის წამგებმა გულის გასაგრილებლათ მოითხოვა ცივი წყალი; მეორემ ნაცვლად ამისა „გადაღლურძა“ არაყი და ცდილობს დაკარგოს დარდები. მომგები ეჯიბრება წითელ ღვინოს...

ახლა ვნახოთ მოვაჭრე ხალხი.

ყოველს დუქან წინ დგას მოვაჭრე და დიდის ხმით ყვირის:

— ღმერთმა ააშენოს ჩემი მუშტარი! იაფათ და პირიანათ! აი გაეთავეთ! ოთ-ლა-ღა დარჩა! აქეთ, ქართველებო, არ მოსტყუვდეთ! თქვენი ჭირიმე, რა საქონელი მაქვს პა-პა-პა!!“.

ბამოჩნდა ერთი მშვენიერი ქისტის ქალი თავით ფეხამდის ვერცხლით შეკაზმული, რომელსაც ხელში უჭირავს ნაბდის ქუდები და ჰყიდის. ყმაწვილი ბიჭები ეხვევიან ამას და არჩევენ ქუდებს, მაგრამ იმათი ყურადღება და თვალი არის მიტაცებული იმ ნაზის ქალის მშვენიერებით. ტყუილათ ცდილობს ეს საცოდავი გამოეცალოს ამათ ხელიდგან: ოთხი-კუთხე დახშულია ხალხით. ამ დროს

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლის გაზეთს „ვაკიტში“ დაბეჭდილია ახალი პირობა, რომელიც შეუკრავს რუსეთსა და ოსმალეთს ერთმანეთში. ამ პირობის პირველს მუხლში მოხსენებულია, რომ რუსეთი და ოსმალეთი სამუდამოთ მეგობრები არიანო. ინგლისის ელჩს ლეიარდს ეს მუხლი ერთობ არ მოსწონებია; და წაუკითხავს თუ არა ეს პირობა, ის მისულა ოსმალეთის მთავარს ვეზირთან საფეტ-ფაშასთან და უკითხავს—რას ნიშნავს ეს მუხლიო? საფეტ-ფაშას უპასუხებია, რომ რუსეთმა პატიოსნათ შეასრულა ყველა მუხლები ბერლინის ტრაქტატისაო. და ამიტომ შეეკარით ამ პირობითაო. მაგრამ მეგობრობა იმას კი არ მოასწავებსო რომ ჩვენ რუსეთთან კაშირი შეგვეკრას და ჩვენ იძულებული როდი

ეართ, რომ ყოველ შემთხვევაში რუსეთთან ერთად ვიყენეთო. ამ პასუხს დაუმშვიდებია ლეიარდი.

ავსტრია

„ბოლოსში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა, რომელიც 15 ენკენისთვეს მიულია ამ გაზეთს ვენიდამ:

„ავსტრია და ინგლისი ახლა ძალიან მეგობრები არიან; ეს გარემოება ამხნევებს აქაურ პოლიტიკოსებს და იმედი აქვსთ, რომ გარედამ ავსტრიას არავითარი შიში არ მოელისო.

„აქ ამბობენ, სხვათა შორის, რუსეთი იძულებული იქმნებაო, რომ ინგლისს დაუთმოს აზიაშიო, ინგლისი დაიჭერს ავგანისტანს და რუსეთი ხმას ვერ ამოიღებსო, რადგან ომის დაწყება არ ჰსურს, არ შეუშლიან ახლაო“.

ოსმალეთი

ვენის „გაზეთებში იწერებიან, ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ჩერნოგორიის მთავარსო, რომ ალბანიის დასამშვიდებლად ხონთქარმა გაგზავნა ოსმან-ფაშა ო�აცი ტაბორით (ბატალიონით) და იმედიაო, რომ ამ მოკლე ხანში ყოველი უკმაყოფილება ოსმალეთსადა ჩერნოგორიას შუა მოისპობაო.

ნარევი

ერთი ინგლისელი, რუსელი. დანიზლავებია ამას წინათ ვიღაცას, რომ 5 საათის განმავალობაში ათ ვერსს გავიარ.

ავსტრია

„ბოლოსში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა, რომელიც 15 ენკენისთვეს მიულია ამ გაზეთს ვენიდამ:

„ავსტრია და ინგლისი ახლა ძალიან მეგობრები არიან; ეს გარემოება ამხნევებს აქაურ პოლიტიკოსებს და იმედი აქვსთ, რომ გარედამ ავსტრიას არავითარი შიში არ მოელისო.

„აქ ამბობენ, სხვათა შორის, რუსეთი იძულებული იქმნებაო, რომ ინგლისს დაუთმოს აზიაშიო, ინგლისი დაიჭერს ავგანისტანს და რუსეთი ხმას ვერ ამოიღებსო, რადგან ომის დაწყება არ ჰსურს, არ შეუშლიან ახლაო“.

ოსმალეთი

ვენის „გაზეთებში იწერებიან, ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ჩერნოგორიის მთავარსო, რომ ალბანიის დასამშვიდებლად ხონთქარმა გაგზავნა ოსმან-ფაშა ოcსაცი ტაბორით (ბატალიონით) და იმედიაო, რომ ამ მოკლე ხანში ყოველი უკმაყოფილება ოსმალეთსადა ჩერნოგორიას შუა მოისპობაო.

ნარევი

ერთი ინგლისელი, რუსელი. დანიზლავებია ამას წინათ ვიღაცას, რომ 5 საათის განმავალობაში ათ ვერსს გავიარ.

ლი ყვინთით წყლის ქვეშაო. დიდ-ძალი ხალხი მოგროვილა ამ ამბის საყურებლად. სწორეთ შუადღეზე რუსელი ჩასულა წყალში. წყალ ზემოდამ მიდიოდა ნავი, რომელზედაც იყო გაყვანილი მცურავისათვის სასუნთქი. მეხუთე საათის ნახევარზე რუსელმა გაცურა დანიშნული ათი ვერსი და ამჭოყო თავი წყლიდამ, და ამ ნაირად მოიგო ნიზლავი.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ევროპის ზოგიერთ ალაგებში „ნაკარს“ გარდა, ერთნაირი ავათმყოფობა გაუჩნდა კიდევ ყურძნის ვაზს, რომელსაც ფილოქსერა“ დაარქვეს და რომელიც სრულებით ახმობს ვაზს.

ერთმა ფრანცუზმა მონახა საშუალება რომელიც, ამბობენ, სრულიად სპობს ამ ავათმყოფობასო. ეს საშუალება არის ენდრო. უნდა დათესო ვაზებში ენდრო და ყველა ჭიები (ფილოქსერა—ჭია არის) რომელიც ვაზს ეხვევოდა, ამ ენდროს ძირსა და ფოთლებს დაეხვევა და ამნაირად ვაზი გადარჩებაო.

* * *

ერთმა მეცნიერმა ფრანცუმა გამოსცა ამ დღეებში პარიჟში პატარა წიგნი, რომელშიაც აწერილია—თუ როგორ შეიძლება მზის სითბოს საშუალებით არათუ წყალი გაათფოს კაცმა, არამედ სადილი მოამზადოს და სხვა ყველა შემთხვევაში ეს სითბო იხმაროს შუშისა და ქვანაშხირის მაგიერად.

ამ მეცნიერს მოჰყავს მაგალითად ერთი კაცი, რომელიც სამი წელიწადია, რაც მზის სითბოთი იმზადებს თავისთვის სადილსო, შუშას სრულებით აღარ ხმარობსო.

მზის სითბოს მოსაგროვებლად ხმა[illegible] ბენ (ბოლოს), რომელიც შუაში [illegible] ბერილია და ერთს ალაგას აგროვებს [illegible] სხივებს და ისეთს სითბოს აჩენს, [illegible] ცეცხლსაც წაუკიდებს. ამ ბოლოს[illegible] [illegible] შუალებით, თუ კარგი მზეა, ხუთ მინ[illegible] [illegible] ში შეიძლება თურმე კვერცხის შ[illegible] [illegible] ნახევარს საათში დიდი ქვაბით შეძ[illegible] [illegible] ბა წყლის აღულება და ცხვა.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოს[illegible])

სტამბოლი, 22 სექტემბერს. ხონთ[illegible] ქარმა უარჰყო მცირე აზიის შესახებ [illegible] წარდგენილი პროექტი ინგლისის [illegible] ლეიარდისა.

პეშტი, 22 სექტემბერს. ხმა არის, რომ ტისსამ გამოუცხადა იმპერატორს ფრ[illegible] ანციოსიფსა, რომ ვენგრიის მინისტ[illegible] [illegible] არაფერს არ დაუთმობენ და გამოვ[illegible] [illegible] ლენ სამსახურიდამაო.

რუსჩუკი, 21 სექტემბერს. რუსის ჯარების შინ დაბრუნება შეაჩერეს, რად[illegible] [illegible] ან პოლიტიკური გარემოება შეიცვალა.

სტამბოლი, 19 სექტემბერს. „ბოლოსის“ დეპეშა: ზადაიდენენ თუ არა რუსის ჯარები ჭუჩუმეჯის ხიდზე, იმწამსვე ოსმალოს ფანატიკოსები [illegible] [illegible] ნენ თავს ქრისტიანებსა და დიდ ძალი ხალხი ამოსწყვიტეს.

პეტერბურგი, 24 სექტემბერს. „მმარ[illegible] თებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ხელ[illegible] [illegible] მწიფე იმპერატორთან ალრიანოპოლიდამ გამოგზავნილი ლენ. ტოტლებენის

გადმოხდა საიდანღაც ერთი ურია და გაუჩნდა მას მფარველათ, განათავისუფლა სომხებიდგან და მიიყვანა თავის ბინაზედ; ურიულის ტკბილის სიტყვებით მოურიგდა ქუდებს, გამოართო 15 ქუდი და მისცა ორი ბამბის ხელსახოცი, ღირებული არა უმეტეს 50 კაპ. მაშინ, როდესაც თეითოეული ქუდი ღირდა 25—30 კაპ. მაგრამ როდესაც ქალმა დაინახა ამ ეაპრობაში საგრძნობელი ზარალი და აპირებდა თავის ქუდების გამორთმევას, ურიამ კიდევ მოახერხა იმისი გაჩუმება: მისცა კიდევ ერთი აბაზი ფული და ორი ნაჭერი წითელი ყინვარი-შაქარი და გაიცალა იქიდგან.

წავედი იმ მლოცავების დასათვალიერებლათ, რომელნიც იდგნენ ტყის მახლობლად და შიგ ტყეშიაც. რავდენიმე იმ კეთილშობილთაგანი, რომელთაც ეკუთვნით ეს ადგილები, დადიან და სთხოვენ მლოცავებს ადგილისა და საძოვრის ქირას. ზოგნი ნებით აძლევენ, ზოგნი უარზედ დგანან და ზოგნი ქირის სამაგიეროთ ღვინოს აძლევენ. აგერ ერთს იმათგანს გაუჩერებია გლეხი, რომელსაც მოაქვს შეშის კონა და სთხოვს შეშის, ფასსა. როდის,-როდის გლეხმა დაამტკიცა მოწმებით, რომ ეს შეშა მოაქვს სოფლიდგან, და არა ტყიდგან, და ამით გაინთავისუფლა თავი. ერთი სიტყვით, ეს ყმაწვილები ისე არიან დაგეშილები, რომ საწყალ მლოცავებს არც მოსვლაში და არც წასვლაში არა აქვთ იმათგან მოსვენება.

ერთი უმთავრესი ნაკლულოვანება ამ ეკკლესიისა მდგომარეობს იმაში, რომ წყალი არა აქვს ახლო, თუმცა ამის მოპოვება არ არის ძნელი. რავდენიმე წლის წინათ აქ იყო ჭა, საიდგანაც ამოდიოდა გემრიელი წყალი; ეხლა ეს ჭა გაუქმებულია ყურის უგდებლობით. დახარჯოს ეკკლესიამ 500—600 მანეთი და ერთ კვირაზედ რავდენიმე ჭა გაიმართება.

თვით ეკკლესიის შესანიშნავი ნაკლულოვანება არის ვიწრო ფანჯრები, საიდგანაც თავისუფლათ ვერ მუშაობს ჰაერი. არც ზარები და სამრეკლო არის ეკკლესიის შესაფერი...

შესრულდა ცხრა საათი და დაირეკა წირვის ზარი. უნდა გენახათ, რა თავვირის მტერევით მიეშურებოდა ხალხი საყდარში და ცდილობდა ადგილის დაჭერას. უველას უნდოდა მოესმინა წირვა მამა არხიმანდრიტის მაკარისა.

ეს არის ვათავებდი ამ ჩემს საუბარს, მაგრამ ერთმა მამალმა გამოაჩინა ახალი ამბავი: ეს მამალი ვიღაც მლოცავმა მოიყვანა სმაწყალობლოში და როდესაც მლოდელმა გადმოაფრინა და მამალმა, ხალხის სიმრავლის გამო, ვერ იპოვა მიწაზედ ადგილი, შეაჯდა თავზედ ერთ მლოცავს, აქედან გადაფრინდა მეორე თავზედ, მერე მესამეზედ, ასე რომ მოიარა ოცამდის კაცი გაურჩევლად კეთილშობილების, ჩინოვნიკების და მლოდლებისა, მანამ ბოლოს ერთმა მათგანმა არ წაგლიჯა იმას თავი.

ამის მნახველმა მდაბიო ხალხმა ეს ჩათვალა ღვთის განგებით მოვლინებულ სასწაულად და ყველა თავისებურათ ხსნიდა ამის მიზეზსა.... ამ მინუტიდგან ხალხი იშლება და მიდისი, მაგრამ ამათ სამაგიეროთ მოდიან ახალ მლოცავნი და იჭერენ წასულების დატოვებულს ბინებს...

ქოპალიანი

ტელეგ[illegible]რამმა, რომელშიაც მოხსენებულია, რ[illegible]ომ ბურგასის, აიდოსის, უარნა-ბადისა [illegible] და იამბოლიის მცხოვრებლები მაღლო[illegible]ბას გიძღვნიან განთავისუფლებისთვისაო[illegible].

ლ[illegible]ნდონი, 23 სექტემბერს. სიმლიდამ მოვიდა [illegible] შემდეგი ტელეგრამმა: ამბობენ, რომ ინგლისის [illegible]ჯარები პეშავარიდამ ინერუდ[illegible]ი მიდიან ალიმუსვიდზე ეერიშით მის[illegible]ასველელად. მმირი ალიმუსვიდში აგრო[illegible]ებენ თავის ჯარებს. სამხედრო მასალებს [illegible] ქაგალში აგროებენ. ხაიბერის ხალხებსა[illegible] და აფგანისტანელებს შუა დიდი მტრ[illegible]ობა. გაზეთს „სტანდარში“ იწერებიან, [illegible]რომ აფგანისტანელები ხაიბერის ხალხთ[illegible] [illegible]უპირებენ თავ-დასხმას, რადგან ამ ხალხმ[illegible]ა ინგლისის ელჩები თავის ქვეყანაზე გა[illegible] მოუშვაო. იმედი აქვთ, რომ ინგლისის [illegible] ჯარები ხაიბერელებს დაეხმარებიან.

სტამბ[illegible]ილი, 23 სექტემბერს. ალბანიელებმა მ[illegible]ოჰკლეს სულთანის დანდობილი პირებ[illegible], რომელთაც ჩერნოგორიისათვის უნდ[illegible] გადაეცათ პოდგორიცი. სულ 136 აფიც[illegible]ერი და სალდათია მოკლული.

გაანცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გაგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 18 ოქტომბერს იმის თანდასწრებით იქნება დანიშნული ეჭრობა (ტორგი) (მარტო ერთხელ) [illegible]მტკერის ორი პარომის იჯარით მიცემაზედ მნაცაკანის ხიდთან. ფადა იჯარისა არის სამი წელიწადი.

(2—1)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში ვართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

დღანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. ფიცარს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მგრეველის ხელისა; 2 ანბანი მგრეველის ხელით; 3 ანბანის დედანი ფიგნიდამ გადმოწერისათვის ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (ეგეთ არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები—რა უმთავრესს სწავლა ეკმის ასოების ერთმანეთისა ფუძეფილით ეკმის ხელით გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **ფიგნი სიბრძნე სიცრუისა** თხზულება **საბა ორბელიანისა.**

ფასი ათი შაური

თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი. (5—5)

ბიბო ჩარკვიანის ფიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

ფასი 15 კაპეიკი.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

ქ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა

ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

ადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება ამიკაზიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, 클ubის ქვემოთ.

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაცა **თამბაქო,** მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

რაკ. გზა.	ლილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი	9	21	5	18				
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	57			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3	4	1	69
ყვირილა	1	18	ლამ.		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოკი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სილნაღს	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) **თფილისიდამ:** საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბახეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ:** თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და საზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დ.ბ.ბ.ლილის (ხამი მისხალი)	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 21 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი	1	50
ქერი ფუთი	1	25
ბამბა ერევანისა, ფუთი	7	20
—ამერიკისა, ფუთი	7	60
ბაპენტელი ბამბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	50
—მარაქამისა ფუთი	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	6	50
ქონის სანთელი ფუთი	8	40
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროკ. ფუთი	7	40
—ფხვნილი ფუთი	6	20
ყავა გრგვლი, გრვ.	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	14	—
ოამბაქო, ხაშულო ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ლილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ძიურარიანც—საჯარო ექმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ძიურარიანცი—სიფილიტიკური და ხაშარდ ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.